ჩვენი სალამური ხომ მუდამ თავისუფლების მოტრფიალეა, იყო და იქნება. აბა სად და როდის ნახულა ან გაგონილა, რომ სალამური თავისუფლებას არ მსახურებდეს? — არსად და არასოდეს!

ბულბულის კვნესა-გალობა, მისი სალამური განა თავისუფლების კვნესა-გალობა და ტრფიალი არ არის? განა ხორც-შესხმულ სალამურის — სულმნათი იყაკის სიმღერა იგივე არ არის? მაშ დაუგდეთ ყური:

„კავკასიის ქედზე იყო  
ამირანი მიჯაჭული,  
ჟვავ-ყორანი ეხვევრდა,  
დაფლეთილი ჰქონდა გული.

ქვეყნათ ცეცხლის მოტანისთვის  
გულს ცეცხლი არ ნელდებოდა,  
და რაღაცა მანქანებით  
გული ისევ მთელდებოდა.

ქონდა ქირში მოთმინება,  
არც კვნესოდა, არც ოხრავდა;



უსამართლო ძლიერებას  
მონურათ თავს არ უხრიდა!..

ბოლოს მაინც გამარჯვება  
დარჩა, ყველა გააოცა  
და ის ღვაწლიც მაგალითად  
შეილიშვილთა მან გადმოსცა.

კავკასიის მაღალ ქედზე  
მიჯაჭვული ამირანი  
არის მთელი საქართველო  
და მტრები კი ყვავ-ყორანი.

მოვა დრო და თავს აიშვებს,  
იმ ჯაჭვს გასწევეთს გმირთა-გმირი!  
სიხარულათ შეეცვლება  
ამდენი ხნის გახატირი!“

ოლონდაც! რაღან თავისუფლება თვით სიხარულია. და, ავრეც არის, ანათებს მისი წინამორბედი შუქი, რომელიც ვა-  
მოეხატება ამ ხანად ერთობაში, რომელიც „ჩვენთვის ტახტია,  
მტრებისთვის სახრჩობელათ“. აი, გამოსულა მუშაო ერი,—  
ერთმანეთთან შეთანხმებით  
ძლიერი და ბედნიერი.

„გზა გამყაფს და ხიდსაც აგებს,  
სისხლისა და ოფლით რწყულსა;  
და მამულის მოიმედე,  
აღარ იმჩნევს წყლიულათ წყლიულსა.

გამარჯობა. ნამდვილ მუშეპს!  
ვაშა, ვაშა მომავალსა!  
ის ასწორებს დლევანდლების  
გამრუდებულ გზა და კვალსა.

გაასწორებს და გზას მისცემს  
ტარიელს და იუსანდილსა,

ამირანის სისხლ-ცრემლებით  
ქართველებათ გამოზრდილსა.

ნეტავ იმ დროს და მის დამსწრეს,  
ზეზეულ გრძნობს ცხონებასა:  
არც ისურვებს ბატონობას  
და არც ვისმეს მონობასა.

აღიარებს მხოლოდ ძმობას,  
თანსწორობას, სიყვარულსა!  
და საზღვარი არ ექნება  
მის უმანკო სიხარულსა!

\* \* \* \* \*

არ მომკვდარა საქართველო!  
აყვავდება ერთხელ კიდე!  
და გაისმის ძველებურათ  
იმისი ხმა კიდით-კიდე.“

და ისმის კიდეც! დაუგდეთ ყური უცხოელებს: ყველანი ერთშემად აღიარებენ, რომ თავისუფლების მოპოვებაში ქართველობა წინა რაზმში იბრძეისო....

მე ბრძოლი არ ძალიძის, რაღვან ჩიტი ვარ უღონო და  
არა გმირი, ძლიერი. მხოლოდ ტკბილის და მხიარულის ხმით  
მეც ვუმდერ-ვუგალობ ჩემი ტკბილის სამშობლოის სიტურფესა  
და თავისუფლებას. ვატკბობ და ვამხნევებ მის კეთილშობილ  
შვილებს, რომელთაც ძლიერ უყვართ ჩემი სალამურის ხმა-  
ტკბილი კრიმანულები.- ზამთარ-ზაფხულ თავს ვევლები ჩემს  
ტკბილ სამშობლოს, ვიზიარებ მის სიტკბოს და სიმწირეს. ვა-  
ტრიფიალები მის ხე ტყესა და მინდოორ-ველს, სადაც ვსპობ მავნე  
ჭია-ღუასა და ბუზ-პეპელის. ზოგნი უმეცართაგანი ცუდ ხმებს  
ავრცელებენ ჩემზე, თითქო ვნება რამ მომქონდეს ქვეყნისათ-  
ვის. მტკნარი სტკრუვეა და შურის მეტი არა ჰყორიარა ამ ხმე-

ბში. და არც არა მეთქმის-რა ამ ვაუბატონებზე, რადგან ჩემი დევიზია: „faire bien et laisser dire.“<sup>1)</sup>

ზოგაც ჩემი ხორცი უყვარს და მოსაკლავათ დამდევს, ტკბილ-გემრიელია შაშვის ხორციო, მით უწეტეს თუ მსუქანიაო. შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ განა ცოტა აქვს აღამიანს სხვა სასმელ-საჭმელი, ჩვენ რომ არა გვწვდეს? თუ ძალ-ძომრებაზეა საქმე? მაშინ სადღაა თავისუფალ ცხოვრების სიტკბოსიამე?

მახლას! მეტი რაღა მეთქმის?

ივანე ელიაშვილი



<sup>1)</sup> თავისუფლად რო ვთარგმნოთ: „კეთილი საქმე ჩემზედ იყოს და დაფასება სხვებზედ.“

## პრომეთე.



ყო დრო, როდესაც დედამიწაზე ადამიანი არ არსებოდა — და მხოლოდ მხეცები მეფობდენ. ზღვა საუს იყო თევზებით; ფრინველთა მხიარული უკვირცხილი აცოცხლებდა და აქსებდა დედამიწას გარშემოვიდან; წიავალ-ნირ შეცუთა ბლავილი და ყვირილი წყლებიდა მხოლოდ ღამილამბით, და' მთელ არე-მარეში სიჩუქრე მკიდრდებოდა. დედა-მიწას აკლდა მხოლოდ ადამიანი.

ამ ბუმბერაზი პრომეთე, ცველ ღმერთებთა შთა მომავალი, რომელიც გან-უენა ზექსმა ოლიმპიიდან, და შვა შესანიშნავ მწვანე ხავერდოვან დედამიწაზე. მან იცოდა, რომ მიწაში ჩაფლული იყო ზეციური თესლები, — და მან შოინდომა მისი გაცოცხლება. პრომეთემ იიღო სველი თიხა და გამოკვეთა იმის გან — ზეციური, მუდამ—მშვენიერი ღმერთების მსგავსი. რომ გაეცოცხლება უსულო თიხის ნაქერი, მან იიღო ცხოველების ბოროტი და კეთილი გრძნობები და შთაუნერგა თავის თიხის ქმნილებას. აფინ-პალადამ — სიბრძნის ღმერთია, დახმარება გაუშია პრომეთეს და ნახევრად უასალ ქმნილებას ღვთავა ბრივი სული ჩაპერა.

ასე გაჩნდენ პირველი ადამიანები. პირველად სუსტი და ბავშებსავით უსუსურები იყვენ; მათ არ შეეძლოთ თავისუფლათ მოძრაობა; ის ღვთავებრივი ნაპერწეალი, რომელიც მათ-ში იყო იღნავ ბჟუტივდა და არ უნათებდა მათ წყვდიადით მოცულ არემარეს. ისნი თვალებს ახელდენ, მაგრამ ვერაფერა არჩევდენ, მათ ყურამდი ათასნაირი ხმა მოდიოდა, მაგრამ ისინი ვერ ირკვეოდენ. ასე ცხოვრობდენ პირველი ადამიანები — უმიზნოს დაეხეტებოდენ, ღრმა ძილს განიცდიდენ. არ იცოდენ მათ არც ხელობა, არც ხელოვნება. მათ არ ეხერხებო-

დათ ქვის გამოთლა, არც სულ უბრალო ქონის ჟენება, არც თიხისაგან კურქლის გაკეთება და გამოწვა. მათვის არ არსებობდა არც გაზაფხული, არც ზამთარი: — მათ არ ქონდათ გარჩევა. მათ მოქმედებაში არ იყო არც აზრი და არც მწყობრობა. კინ ჭველებსავთ დაფუსტუსობდენ სუსტები და საცოდავები და მუდამ ერთმანეთს ეჯახებოდენ.

მაგრამ პრომეთეს უყვარდა, ძალიან უყვარდა თავისი ნაშრომი და ნაამაგარი ქმნილებანი და ერთ წამს არ ტოვებდა მათ — ეხმარებოდა. მან თანდათანობით შეასწავლა მათ სახლების აქენება, მოაშინაურებია ცხოველები, შეასწავლა ზღვებზე და მდინარეებზე ნავებით მიმოსვლა: აგრეთვე გაწვრთნა ისინი ცის მნათობების დაკვირვებაში და ანგარიშში. არც ერთია პირველყოფილ ადამიანმა არ იკადა, რომელი საჭმელი სასარგაბლო იყო და რომელი მავნებელი, ამის გარჩევის შეგნებაც მისცა; ამასთანაერ აჩენა რამდენიმე სამკურნალო ბალახი, რომლისგანაც შეიძლებოდა წამლების გაკეთება. მან აღმოაჩენია მათ ოქროს, — ვერცხლის და რკინის თვისებები და შეასწავლა ამ ლითონების ძებნა მიწის სიღრმეში. ერთი სიტყვით ის ულოლიავებდა, უვლიდ თავის ქმნილებებს, როგორც ბავშებს: ასწავლიდა მათ კეთილ ცხოვრებას, — გზას უკაფავდა.

გაშინ კაში მეფობდა ზევსი თავის შეილებიანათ, რომელ-შაც განდევნა თავისი მამა კრონისი და ლმერთების ძველი შთამომავლობა, რომელსაც ეკუთვნოდა პრომეთე. ახალი ლმერთები გაკვირვებით და ცნობის მოყვარეობით აკვირდებოდენ დედამიწის ახალ შეილებს, ახალ ქმნილებებით დაინტერესებულნი მფარველობას უწევდენ მათ, მაგრამ იმათგანაც თხოულობდენ თაყვანისცემას. ნათლით რომ გამოერკვიათ ლმერთებს ადამიანების უფლებები და მათი ვალდებულობა, მოახდინეს ბჭობა, რომელზედაც ადამიანებიც უნდა ყოფილიყვნ. ამ კრებას პრომეთეც ეწვია: მას ეშინოდა — ლმერთებს სატანჯველში არ ჩაეგდოთ სუსტი ადამიანები და არ დაებნელებიათ მათი ცხოვრება. მთელი თავისი ჭეუა და მოხერხება გამოიყენა, რომ დაეცვა თავისი ქმნილებანი ლმერთების სასტიკ მოთხოვნილებებისგან. თა-

თბირზე მოუყანეს ხარი, რომ ამოერჩით ღმერუშავდა მომდევ  
პლოთ მისატანი ნაწილები. პრომეთეიმ ხარი დაკლა, დაანაწი-  
ლა და ორ გროვათ დაწყო. ერთი გროვა—უძურებესი შე-  
დგებოდა საუკეთესო ნაკრებისგან, მაგრამ ზემოდან ამ საუკე-  
თესო ნაკრების ფრავდა ტყავი და ხარის უვარებისი ნაწილები.  
შემო— ბოლიდო გროვას შეადგნდა ძელები, მაგრამ ზემო-  
დან ხელოვნურათ იყო დაწყობილი საუკეთესო ნაკრები. ყვე-  
ლაფრის მხილვებით ზექსმა გაიგო პრომეთეს ეშმაკობა და სი-  
ცილით უთხრა მას: — „ჩემთ კეთილო, მეგობარო, ერთო  
უთანასწოროთ გავინაწილები!“ — „ყოვლად შემძლებელო ზე-  
ქსო! — ეშმაკური ღიმილით უპასუხა პრომეთემ რომელიც  
იქვენ გენებოსთ ის ამოირჩიეთ!“

პრომეთეს ცბიერობაზე განრისხებულმა ზექსმა განძრა  
მოდიდო გროვა ამოირჩია. ააცალა ზევიდან გადაფარებული  
საუკეთესო ნაქრები, და დარჩი ძელების ხროვა. — მრისანე  
შეხედა პრომეთეს და უთხრა: „იაფეტის შეილო: ეხლა კი  
გათ დავინახე, როგორ ვამოქნილი ყავფილხარ ცბიერობაში და  
მოტყუებაში!“

განრისხებულ ზექსს არ დაუყოვნებია და ადამიანებს სა-  
შინელი რისხვა გამოუგზავნა. მან არ მისცა მათ ის, რაც სუსტ  
ადამიან ებისათვის აუცილებელი საკორო იყო — მან არ მისცა მათ  
ცეცხლი. მაშინ ისევ ადამიანებს პრომეთე მიეშველა. ზექსი  
რისხვას ის არ შეუშინდა და ადამიანებისადმი სიყვარულით  
გამსჭვალულმა გადაწყვიტა დაეცვა თავისი ქმნილებანი ღმერ-  
თების შერისძიებისაგან. მან მაღლულათ მოიტაცა ზეციდან  
ღვთიური ნაცერწყალი და ლერწამში დამალული მოუტანა ადა-  
მიანებს, დედამიწაზე პირველად ავუზგუზდა ხის ნაკერი, და  
ნათელი, სითბოს მომცემი ალი ცისკენ გვეშურა. საშინელმა  
ბრაზმა მოიცვა ზექსის მოელი არსება, როდესაც მან მიწადი  
ამოსული კვამლის სერტი დაინახა და სასტიკი საშუალება გა-  
მოიქონა ადამიანების და მათი დამცელის დასასჯელათ.

ზონერხებულმა გეფესტი ზექსის ბძანებით გამოაქნდა და  
უშესენერესი ქალწული. აფინამ შემოსა ის ძეირფის ჩიდრით



და შთაუბერა მას სიცოცხლე. აფროდიტამ მიანიჭა ღვთებრივი სილამაზე, მერმესმა კი აამეტყველა ის. მას უწოდეს სახელად პანდორა, რაც ნიშნავს — „ყველაფრით შემკობილი“. ზევსმა მას მისცა ხელთ ოქროს ყუთი, რომელშიაც მომჟყვდეული იყო ყოველგარი უბედურება და ავათმყოფობა და ჩაგზავნა მიწაზე.

პანდორა დაეშვა ძირს და უგზო-უკლით დახეტიალობდა. მაღვე მან მიაღწია პრომეთეს ძმის ახალგაზდა ეპიმეთეს ბინას. პრომეთემ, ღმერთების რისხვით შეშინებულმა, აუკრძალა თავის ძმას ღმერთებისგან საჩუქრების მიღება, — რაც უნდა ყოფილიყო ის. მაგრამ, როდესაც მომხიბლავი ახალგაზდა პანდორა მოველინა ოქროს ყუთით ხელში, მას დაავიწყდა ძმის გაფრთხილება და სიხარულით შეეგება მას.

ეპიმეთეს თხოვნით პანდორამ გადახსნა ოქროს ყუთს თავი და, რაც შიგ უბედურება იყო, ერთბაშათ გამოხეთქა იქიდან და მოვდვა მთელ დედამიწას. ყუთის ძირის დამალული იყო ნუგეში, უბედურების დროს ადამიანის დამამშვიდებელი, მაგრამ პანდორამ ზევსის ბძანებით უცებ დახურა ყუთი და შიგ ჩატოვა ის.

ყოველგვარი უბედურებით იიქსო დედმიწა, — და დღე და ღამე ადამიანებს მოსვენება არ ჰქონდა: ავათმყოფობა სტანჯვადა და და მუსრს ავლებდა მათ. არა კაცი არ გრძნობდა მათ მოახლოვებას, რადგან ზევსმა არ მისცა მათ ხმა. ისინი უქმოთ მიმოსრიალებდენ დედამიწაზე. ადამიანის სისხლის გამშრობი და სიცოცხლის გამომწურავი ციებ-ცხელება მოიფანტა ყველგან. ცივი სიკვდალი მიმოჰქოდა დედამიწაზე და თან ითისობით მსხვერპლი მიჰქონდა.

ბოლმით და სიწარით იქსებოდა პრომეთეს გული, როდესაც ამ უბედურებას უყურებდა. ამაყი და მედიდური იგონებდა ახალ გეგმებს. ღმერთებთან შესაბრძოლებლათ. ზევსს არ დავიწყებია პრომეთე და მალე ძლევამასილი ღმერთის რისხეთა თავს დაატყდა მას. ზევსმა ჯიუტი პრომეთე გადასცა ცეცხლის ღმერთს გეფესტს. ზევსის ბძანებით გეფესტია მიაჯაჭვა



ის კავკასიის კლდეს და გარდა ამისა წვეტიანი იღმასით უძრობდა — შიგ გულში ჩაქედა. უნდობლათ ასრულებდა გეფესტი ზექსის ბძანებას: — მას არ შეეძლო ზექსის ურჩიბა. ამაყათ ითმენდა პრომეთე ამ საშინელ სატანჯველს და მხოლოდ მაშინ, როდესაც გეფესტი განშორდა ხმამალი კვნესა აღმოსკდა მას და აახმაურა ჰაერი. დედა მისი ფემიდა მიდიოდა ტანჯულთან და ანუგეშებდა მას. ის ურჩევდა დამორჩილებას. ფემიდა უწინასწარმეტყველებდა ახალ სასჯელს, რომელსაც უშზადებდა მას მრისხან ზექსი. მაგრამ პრომეთე ამაყად უარყოფდა დედის რჩევას.

„დე ასრულდეს ბედის წერა!“ — ამბობდა ის „ნამდვილი მხნე კაცი არ გაექცევა მას“. ”

ზექსი უგზავნის პრომეთეს ახალ სატანჯველს. ზექსის ძლიერი არწივი ეშვება ტანჯულთან და ერთიანად აკორტინის მას გულმკერდს და სძირგნის მის ღვიძლს. შემაძრწუნებელი, საშინელი კვნესა გაისმის დედამიწაზე. სისხლის მსელი არწივი, როგორც კი მათავაებს თავის საზარელ საქმეს, განშორდება ტანჯულ პრომეთეს, რომ ისევ დაუბრუნდეს მას. მესამე დღეს ისევ ეშვება მაღლიდან და ხელიხლავ სჯიჯგნის შესისხლხორცებულ-გამთელებულ სხეულს.

ასე მიმდინარეობს საუკუნოები.

უოველ მესამე დღეს კავკასიის კლდეზე ჩნდება უზარმაზარი ჩრდილი მტაცებელი ფრინველისა. როგორც ქვა, ეშვება ქირს — თავის მსვერბლისკენ, — და გულის გამგმირავი კვნესა ამუნობს ქვეყნიერებას წარმოუდგენელ ტანჯვას კაცობრიობის დამცველის პრომეთესი. სალამოთი საზარელი ფრინველი შორდება მას და მისი გასისხლიანებული ნისკარტი ყველას ნათლად ამუნობს, რომ აგრე ახლა მის კლანქებში მსხვერპლი იყო.

ქარიშხალი და ქექა-ქუხილი გაისმის კავკასიის კლდის თავზე. მძლავრი გრგვინვის გამოძახილი მთებში დიდებას უგალობს შეუდრეველ ტანჯულ პრომეთეს და აღიდებს მის თავ-განწირულ სიყვარულს კაცობრიობისადმი.

გავიდა მრავალი საუკუნე და პრომეთეს მიენიჭა თავი-

სუფლება. ბუმბერაზ ტანჯულის კლდესთან მიციდა. დიდებული გმირი ჰერაკლი. თავისი ისრით, რომელიც არაოდეს. აზ აუცილებია, გაგმირა ბოროტი ფრინველი იმ დროს, როდესაც ის თავის მსხვერპლისკენ ეშვებოდა. თავისი კვერთხის მოქნევით მან დაამსხვრია ბორიულები, რომელიც რაჩხუნით დაეცა პრომეთეს ფეხქვეშ. ჯაჭვის ერთი რგოლი კლდის ნატეხით პრომეთეს ხელზე შერჩა და ის ვერაოდეს ვერ შეძლებს მისგან განთავისუფლებას. ამით უნდა შესრულდეს პრომეთეს შეურყეველი ნება,—რომ პრომეთე ჯაჭვით მუდამ შეკავშირებული უნდა იყოს კავკასიის კლდესთან.

და ადამიანები პრომეთეს სამახსოვროთ ატარებენ ხელზე თვლებიან ბეჭდებს.

ე. 6.





## დანგრეული ოჯახი.



გ

იხოს ვერის წყალში დალბობამ ჰუწათ არ ჩაუარა. იმავე სა-  
ლამოს საშინელი, სიცხე მისცა  
და გვერდშიაც მწვავე ტკივილს  
გრძნობდა, შეუყენებლივ ახვე-  
ლებდა და საშინლად კვნესოდა.

ქუჩა-ქუჩა მთელი დღის წან-  
წალით დალლილ-დაქან ცული,  
მშიერ მუცლით დასუსტებული  
ედ არაქათ გამოლეული ელიკა  
მთლათ დაეცა სულით და მიმკვ-  
დარებული, თავზარდაცემული დაპყურებდა თავის მშვენიერ  
ბიჭიებს გავარვარებულ პირისახეს.

— ღმერთო ჩემო, ღმერთო! რა დავაშვე, რისთვის დამ-  
საჯე ასე სასტიკათ? ჯერ ერთი შვილისა და ქმრის დაკარგეა  
არ მომინელებია და ეხლა მეორეს მაცლი ხელიდან? ოჳ! სა-  
შინელებაა, საშინელება, და ჯანმიხლილი კედელს მიეყუდებო-  
და ხოლმე საცოდავი მშობელი.

მაშო ოთახის მეორე კუთხეში — დედას ეტიტინებოდა და  
ოხრავდა:

— დედა, დედა, ეს რა საქმე გვიყავი, რად მოგვახვიე თავს  
ამისთანა განსაცდელი! ახლა ბავშვს რომ აუტყდეს რამე, ვინ  
უნდა უპატრონოს, ვინ უნდა ირბინოს დამარხვის მოსაწყობათ?  
სიმონა რომ იყაყანდეს, განა მართალი არ იქნება?

— მართალი ხარ, შვილო, მართალი! დიდი თავხედობა ჩა-  
ვიღინე, მაგრამ გადაბრუნებულ ურეში აუკნების მეტი რაღა ეჭვე-  
ლება! როგორც იქნება მევე მოუვლი საქმეს და ბინას გაუჩენ  
ამ საცოდავებს. ამ უფროსი ქალის მიღება აგვითქვეს კიდეც  
საქველ-მოქმედო ბავშთა თავშესაფარში. ხვალვე წავიყვან და  
ჩავაბარებ, დანარჩენებსაც გზას გაუჩენ, ლმერთი მოწყალეა და  
ხალხი შემბრალე. ქვეყანას შევაჯერებ და თქვენი საყვედური-  
დან კი გამოვალ.

დილა აღრიანათ პატარა ქუჩი „სატიკო“ კვლივ ახმაურდა.  
დღეს ტივის ხეების ზიდვის ჭრიალით, მეხრეების ხმამალი-  
ვი ყვირილით შძიმე ტვირთით გაჭირვებულ ხარ-ჯამბეჩედ,  
შელონებული ავათმყოფი და იმისი პატრონი სიმწარემდის  
მიიყვანეს, ბავში ატირდა, ხველებას უმიტა, შაშოს პატა-  
რაც გააღვიძა და სახლში საშინელი ალიაქოთი გაიმართა.  
სიმონა განრისხდა, აყავანდა, ლანძლვა-გინება დაიწყო „ზურგ-  
ზედ იყიდესულ ბარგზედ“. ელიკო სირცევილით და მწუხარე-  
ბით იწოდა, ხორცებს იგლეჯდა მაგრამ რას გააწყობდა უმწეო  
და უბედური!

როგორც აღუთქვა მაშიკოს ისევ ელისაბედმა მოუარა სიქ-  
მეს და ჯერ-ჯერობით ნატოს წაყვანა დააპირა.

— ერთი მკამელი პირი მოგაკლდება, — ეუბნებოდა ის  
ელიკოს, თითონაც მოსვენებული იქნება. ხომ ნახე რა რიგ  
იყო დაბინაებული სოფლიდან გამოგდებული თავად-აზნაურთა  
შვილები? სუფთა ოთახი, სუფთა საწილები, საჭელი, სასმე-  
ლი, სწავლა მზა-მზარეული და სხვა რაღა გინდა? ნეტა ლმერ-  
თმა პქნას დანარჩენებსაც ასეთი ღვთის წყალობა აღმოუჩნდეთ!  
აბა რა გატირებს, ხომ ხედავ ჩემი შვილი რა ხათაბალაში ჩა-  
ვაგდე? ბევრს ნუ ტუტუსობთ, ჩქარა გამოემშვიდობეთ ერთ-  
მანეთ!

პატარა ნატო გულში ჩაეკრა დედას, მაგრად მოხვია აკან-  
კალებული მკლავები კისერზე და ჩასჩურჩულა:

— ნუ ტირი, დედაჯან, მე არა მიშავსრა, იქ კარგით ვი-  
ქნები... მიხო მორჩება... მამა მოვა და მერე ისევ ერთად ვიქ-



ნებით, ერთად ჩვენ სახლში, ჩვენ კოპტია სახლში - და ღრია-ლით გავარდა კარში.

მოზღიულ ქალაქთა საქველ-მოქმედო თავშესაფარში ნატო სათნოებით და ალერსით მიიღო გამგე კალმა. უჩვენა თავის საწოლი, საჩქაროთ გამოაცვლევინა საცვლები, ნამტირალი თვალები დააბანინა და მეორე ოთახში მყოფს ექიმ ქალს წარუ-დგინა.

— ბატონო მარიამ, ვგონებ ბავში სრულიათ სალია და ეხლავე შეიძლება სხვა მოწაფეებთან კლასში შევიდეს?

— დიახ! მაგის სისალე ეჭვ გარეშეა, — როდესაც შეხედა წითლად გაღალაუბულ ლოყებს და ლამაზ და ჩაკვირტულ ნატოს ტანს, დექმოწმა ექიმი გამგეს და ჩვენი ნატალია ქალი რამდენიმე წამის შემდეგ ამხანაგებთა შორის იჯდა და ცნობის მოყვარეობით ყურს უგდებდა ქართული ისტორიის მასწავ-ლებელს და თავის ოჯახის უბედურების სიმძიმე თითქმის შეუმსუბუქდა, დროებით მაინც.

ელისაბედი კი მაშინვე ექიმ ქალს მიუბრუნდა და მოწიწე-ბით შეეკითხა:

— ბატონო ექიმო, მინდა რჩევა გკითხოთ... ვხედავ რომ კეთილი ბანდეპი, უბედურთ შემბრალე...

— მითხარ, რა გინდა? — ზრდილობიანათ უპასუხა მართლა რომ კეთილმა, სათნომ, ჯერეთ სულ იხალვაზდა და აღამიანობით საფსე ექიმმა ქალმა დედაკაცს და დიდის ყურადღებით მოუს-მინა. გიოშვილის ოჯახის თავებიდასავალი, პატარი მიხას ავათმ-ყოფნა და იმისი დედის სასოწარკვეთილებამდე მისული გა-ჰირვება.

— მერე რომ იცოდეთ თა კარგი ქალია, რა ზრდილი, პატიოსანი, მაგრამ გამოუცდელი და უღონო! მოუხერხებელი, რომ იტყუინ წყალწალებულიო! ამ სიტყვებით დაამთავრა ელი-საბედმა თავის გრძელი მოთხრობა.

— ბავში დიდი ხანია ავათ არის?

— არა, გენაცვალე, აკი მოგახსენე, ჩვენ მხოლოდ ამ სამი დღის წინად ჩამოვედით, გუშინ აქ ყოფნის დროს, მე და

იმის დედას დაგვიგვიანდა, ბავშები წყალზე ჩატულიყვნენ და ის მოუსვენარი ბიჭუნა წყალში ჩავარღნილიყო. საცვლები ვერ გამოეცვალა ჩემ ქალს და უთუოდ გაციდა. ახველებს, თითქო ქვალიც ადგია...

— სად სდგეხართ?..

— ვერაზედ, სულ განაპირო ვერაზედ „სტივო“ ქუჩა თუ მოგეხსენებათ? ძრიელ შორს არის აქედან, ფეხით სიარულმა მომჟლა, მაგრამ მოვალეობა ვიკისრე და შეცი რა ილაჯია!


— მეტობე მელის გარეთ და ვერისკენ მივალ. წამომყე, მიჩვენე ბავში და თუ საშიშოა, იმისი მდგრამარეობა, ვეცდები ბავშთა საავათმყოფოში დავაბინაო.

და ერთი საათის შემდეგ ექიმი მარიამი დიდის ყურადღებით შინჯავდა სიცხით გონება მიხდილ მიხოს. ელიკო თვალებ გაძევეტილი, შაშისაგან მთრთოლარე შეჰყურებდა ექიმს, იმას სახის შეტყველებაზედ უნდა ამოექითხა თავისი ძვირფასის ავათმყოფის ბედ-ილბალი.

დიდხანს შინჯავდა ექიმი ბავშს, ყოველ მხრივ გამოიკვლია იმისი დაზიანებული ფილტვები და პილოს უთხრა დედას:

— ფილტვების ანთება აქვს, მაგრამ ნუ გეშინიანთ. ბავში ლონიერია, კარგათ ჩასმეული და დვილად გადაიტანს, მხოლოდ დღესვე, თუ შეიძლება არავ წამში წარყვანე ბავშთა საავათმყოფოში, აქ დარჩენა ყოვლად შეუძლებელია! მე მოგცემ მოწმობას და მაშინვე მიიღებენ. ოქვენც შეგიძლიანთ ჯერ-ჯერობით იქ დარჩეთ მომჯლელათ. ხვალ მეც იქ ვიქნები და სხვა ექიმებთან რჩევას მოგიხდენ და უფრო დაბეჯითებით გეტყვით ავათმყოფის მიზეზს.





## ამბავი ქვესკნელისა.

ცეცხლი და ნავთი.



ველამ ვიცით, რომ სითბო-  
სინათლის უდიდებულესი წყა-  
რო არის მზე, მისი მხიარული  
ცეცხლის სხივები, მზით სკო-  
ცხლობს.

მთელ სიცოცხლეში მცე-  
ნარენი ხარბათ ჰკრეფვენ,

ყლაპავენ მზის ცეცხლის ნაპერწყლობს. ამით იქლენთავენ სხე-  
ულს; აგროვებენ საკუჭნაოში აუარებელ ნახშირს, ცეცხლის და  
სინათლის აუარებელ მასალას.

ბუნების ამ საიდუმლოებეს გვიან მიუხვდა ადამიანი. ვე-  
ლურობის ღროს მზის სითბო-სინათლით მარტოოდენ დღისით  
სარგებლობდა. ამიტომ ცხოვრობდა მხოლოდ ცხელ ქვეყნებში.

ცეცხლის აღმოჩენამ სრულყდით გარდაჭმნა, გადახალისა  
ადამიანის სიცოცხლე და ცხოვრება. — პირველად გაჩნდა ქოხში  
შუა ცეცხლი. ადამიანი უშურველათ იყრიდა შეშის. მერე მიაგ-  
ნო მკვარს, რომლითაც ანათებდა თავის ქოხს და კარმიდამოს. ბოლოს იპოვნა ახალი საშუალებაც. გამართა ჭრაქი პატრუქია-  
ნი. აანთო ქონი და ზეთი.

ასე გაატარა კაცობრიობამ თავის სიცოცხლე რამდენიმე  
ათასი საუკუნე — ენთო და ბოლოვდა შუა ცეცხლი, ანათებდა და  
ხრჩოლავდა მკვარი, ზეთი, და ქონი.



უწინდელ დროში ცეცხლს აღმერთებდენ, თაყვანსა უკუშებდებოდა. ერთ დროს საქართველოშიაც შემოიღეს ცეცხლის თა-  
ყვანისმცემლობა. მისი ქურუმები ინდოეთიდან და სპარსეთი-  
დან გვეწვიენენ და ცდილობდენ ქართველებშიაც გვევრცელები-  
ნათ ეს ცრუ რწმენა.

ერთს გარემოებას უნდა მივაჭიოთ ყურადღება. ზოგიერთ  
ადგილის დედამიწიდან პირდაპირ ამოდის მზა-მზარეულ ცეც-  
ლი. მაგალითად ბაქოს სიახლოვეს სურახანაში არსებობს ცეც-  
ლის თაყვანისმცემელთა ტაძარი. ქურუმებათ ინდოელები  
არიან და ოუმცა შემცირდა მათი მრევლი, მაგრამ შ:ინც არიან.  
ტაძარში ვინ იცის რამდენი საუკუნე ცეცხლი მარად უშრეტე-  
ლათ, გაუქრობლათ ანთია. გონება დაბუულ იდამიანს მეტიც  
არ უნდა. ვერაფრით ვერ ახსნა მან ეს მოვლენა. ამიტომაც ეს  
ადგილი წმიდათ ჩასთვალი, გააღმერთა, სალოცავათ გაიხადა.

ამგვარივე ცეცხლი ანთია პენსილვანიაში (ამერიკაში) შე-  
ნიშნულია, რომ იმ ადგილებში იცის ეს ცეცხლი, საღაც ეგუ-  
ლებათ ანუ უკვე ამოდის ნავთის წყარო.

მეცნიერებმა ქიმიურათ გამოიკვლიეს ეს მოვლენა. აღმოჩნ-  
და, რომ დედამიწიდან ამოდის ერთ გვარი გაზი ადვილათ ასან-  
თები; შესდგება ნახშირისაგან და წყალბადისაგან. ამ გაზი (ნა-  
ხშირ წყალბადის C H 4) უწოდეს მეტანი, ხოლო მდაბიურათ  
გუბე-ჟაობის გაზი. ყველა გუბე ჟაობის ძირში კროვდება ეს  
გაზი—საქამია გუბეს ძირი ჯოხით აქექოთ, აშალოთ მაშინვე  
ზევით წამოვა. გაზი მეტანი წყლის ბუშტების მსგავსათ. შეიძ-  
ლება იქვე აანთოთ ან ძაბრიან შუშაში (პირქვე უნდა გვეი-  
როს) მოაგროვოთ.

ამ გვარ გუბე-ჟაობის შესახებ ხალხში ცრუ რწმენაა გავ-  
რცელებული. ზოგჯერ ეს გაზი თავის თავათ ამოდის გუბეს ზე-  
ვით. ანთებული წინწულები ისე ანათებენ, როგორც ციცინა-  
თელები. ხალხის ახსნით ეშმაკეული განგებ უგებს მახეს ღა-  
მით მოგზაურ ადამიანს, რომ ჩაითრიოს გუბეს ძირში, სავსე  
ლამსა და ლაფში ჩაახრი .სო.— რუსეთში (ბუჯდაიში იგი-  
რა) დღესაც ბევრსა სწამს; როგორ ჩნდება ჟაობში გაზი. ად-



ვილი ასახსნელია: გუბე-ჭაობებში შიგ და ნაპირებზე აუტურე-  
ბელი მცენარეობა იზრდება, ხარობს, სკოცხლობს, კვდება და  
ჭაობში იმარხება. წყალი ჰეთარავს, ჰაერი არ უდგება, მაინც  
იხრწნება, ლაპება და აჩენს ნახშირწყალბად გაზს მეტანს.

გადის საუკუნოები. გუბე-ჭაობი მთლად ივსება მცენარეულ  
ბელტებით, კეთდება ეგრედ წოდებული ტორფი, რომელსაც  
საწვავათ ხმარობენ. უკვე ვიცით, რომ საღაც ამ გვარ პირო-  
ბებში ჩადუნები და ხეები ბლომად იმარხებოდენ იქ საუკუ-  
ნოების განმავლობაში მზადდებოდა ქვანახშირი და სხვ.

პენსილვანიაში, ალევანის მთების გადალმა, საღაც კი ნავთი  
ეგულებოდათ და დაბურლეს ნავთის მაგივრად კიდან მხოლოდ  
გაზმა მეტანჩა ამოხეთქა. ამერიკელებმა არც გააღმერთეს და  
არც თუ გული გაიტეხეს. შრომა და ხარჯი ტყუილა არ და-  
კარგეს. ლითონის მილებით გაზი მეტანი ას ვერსზე მეტ მან-  
ძილზე გაიყვანეს და იქ იხმარეს ქარხანა ზაფლების გასანათებ-  
ლათ, გასათბობათ და ჩარხების სატრიალებლათ. დიალ იმ ცეც-  
ხლს, რომელსაც უმეცრება აღმერთებდა და თაყვანს სცემდა.  
დღეს მეცნიერება — ქიმია ასე ამუშავებს, იმსახურებს კაცობ-  
რიობის საკეთილდღეოთ.

მართალია მეტანი გვინათებს კიდეც (ქუჩა-მოედნებს), ცეც-  
ხლსაც გვაძლევს საჭმლის მოსახარუათ, ოთახის გასათბობათ,  
მაგრამ მეტანი მაინც და მაინც დიდ ხმარებაში არ არის, რა-  
დგან ცხოვრებაში უფრო სახეირო, გამოსადევი და თანაც უფ-  
რო იაფი აღმოჩნდა ელექტრონი და ნავთი.

### ნ ა ვ თ ი.

ადამიანის გონება ქვესკნელსაც ჩასწვდი. აბა ვინ წარმოიდ-  
გენდა რომ ქვესკნელში ასე უხვად დაგროვილი იყო სანათი  
მასალა, რომელსაც ნავთი ეწოდება.

ნავთს ის გაზი მეტანიც თანა სდევს, რომელიც დედამი-  
წის ქერქს ბევრგან ეჯახება, აწვება და უჩუმრათ ხან სად  
ამოხეთქვს ხოლმე, ხან სად — ჩვენდა სასარგებლოთ რასაკვირ-



ველია. ნავთის უფრო მთის კალთები უყვარს, უთუოთ იქ ადვიდ ლად პოულობს ხვრელს, ადვილ ამოსასვლელ გზას.

ქვეყნის ყველა ნაწილებში ყველაგან შეხვდებით პატარ-პატარი ნავთის წყაროებს, კუპრივით შეგს.

უწინ და ძველის-ძველათაც ნავთს ორმოებში აგროვებდენ იმდენს, რამდენიც ამოვილოდა. სხვა ხერხი რო არა იკო-ლნენ-რა ისე დაუწმენდელს, მყრალ ნავთს ხმარობდენ წამლათ, თანაც ახრჩოლებდენ სანათათ და საწვავათ. ისე წვალობდა აღამიანი ათასი საუკუნოების განმავლობაში.

ქართლში, კახეთში და გურიაშიაც აღმოაჩინეს ნავთის წყაროები, მაგრამ ჯერ ფართეთ ვერ ვასრგებლობთ. კავკასიონის მთების კალთებზე და ამერიკაში აღმოჩენილი ნავთის წყაროები განთქმულ არიან მთელ ქვეყანაზე თავის სიუხვით და თვისებით.

ბაქოში და პენსილვანიაში გაჩაღებული წესიერი მრეწველობა-ვაჭრობა სულ სამოცი წლის საქმეა. გარდა ამისა დღეს ნავთის მრეწველობა სწარმოებს ბირჩაში (ინდოეთში), გალიციაში კარპატის მთის კალთებზე, კანადაში და სხვ.

წინეთ რუსეთს ყოველ წლივ 600 მილიონი ფუთი გაჰქინდა ბაზარში გასაყიდათ. აქედან 100 მილ. დაწმენდილი ნავთი (კერასინი), ეს იმოდენი სანათი ზეთი რა თქმა უნდა კარგა გვეყოფოდა, რომ საზღვარ-გარეთაც არ გაჰქინდეთ.

დღეს ბაქოში 2.000-მდე დაბურღლული ჭა მუშაობს. დედამიწის ისე ბურღავენ, როგორც ჩვენ ფიცარს გავხერეტ ხოლმე ბურღლით, მაგრამ რა თქმა უნდა დედამიწის ბურღვა მეტად ძნელია, ბურღმა უნდა გაიაროს არამთუ ქვიშიანი შრე, ზოგჯერ კლდე თუ დახვდა — კლდეც უნდა ჩათხაროს, ზოგი ჭა 150 საუ. სილრმეთ არის ამოთხრილი, მაგრამ ხშირად ამ სილრმეზე ვერ პოულობენ ნავთს, ამიტომ იძულებულ არიან კვლავ ჩაღრმავონ ჭა, ჩასწვდენ 200, 270 და ზოგჯერ 300 საუენ სიღრმესაც.

ბაქოში ერთი ჭას ამოთხრა 250 საუენის სილრმეზე წი-



ნეთ ჯალი 80.000 მან. თანაც ორი წელიწადი დროს უკიდურეს დებოლა.

აი ასე ძნელია ქვესკნელიდან მზა-მზარეულ სინათლის და  
სითბოს ამომზევება. მაგრამ ნავთის სიუხვე ყოველივე ხარჯს  
ჰჭარიას და მრეწველი მიღიონების პატრონი ხდება—ვიდრე  
ომი დაიწყებოდა ათი წლის განმავლობაში ბაქოს მიღამოებში  
ამოწურეს 5.000 მიღიონი ფუთი, ხოლო შეერთებულ შტა-  
ტებში სამჯერ მეტი, მაგრამ ბოლო ჯერ არ უჩანს, დაუშრე-  
ტელათ დრო გამოშვებით ისვრის შადრევანს. 200 საეკნის  
სიღრმიდან საშინელის ძალით მოხეთქს ხოლმე საუცხოვო შა-  
დრევანი 20 საეკნის სიმაღლით.— იყო შემთხვევაც: 1887 წელს  
ბაქოს ახლო ერთი შადრევანი 100 ადლის სიმაღლეზე სცემდა  
მთელი დღე რაღა თქმა უნდა რო შადრევანის ძალა თან და  
თან სუსტდება და ზოგჯერ ფიდ ხანსიც ისვენებს ხოლმე, ვიდ-  
რე სადღაც ქვესკნელში კვლავ დაგროვდება საქმარ. სი გაზი  
და ძალა.

თითო შადრევნი დღე-დამეში **1000** ფუთს მღვრიე ნაეთს იძლევა, რომელსაც თანა სდევს წყალი, ქვიშა, მეტანი და სხვა გაზებიც.

ყოფილა იშვიათი შემთხვევაც, ერთს დღეში შადრევანს  
ნახევარი მიღიონა ფუთი ნავთი მოუცია. ხოლო 1892 წელს  
მატეში მოხდა მეტად დიდი სასწაული: ნობელის ერთმა შად-  
რევანმა იყრიალა და ოდაც 12 ხეთის განმავლობაში ერთი  
მიღიონა ფუთი ნავთი მოისროლა. რა თქმა უნდა პატრიონი  
არ მოელოდა მისითანა ბედნიერებას. კურქელი და ორმოები  
ვერ შეასწრო და მეტი რა ჯანი იყო ეს ძვირფასი სითხე ზღ-  
ვას მისცა.

ხომ გაგისტოლიათ შეიღებ-ისარი. ზოგჯერ ვიდრე ბურღს  
ამოიღებდენ ქიდან, უცებ იგრიალებს ძრიელი შადრევანი,  
ამოისვრის ხოლმე თვით ბურღს, რომელიც იწონს 250 ფუთს  
და ისე აფეთქებულია, როგორც თქვენ ისარს. მა გვარი ძრიელი  
შადრევანი ყოვლად უსარგებლოა, ყველაფერს ანგრევს და ნა-  
ხევარზე მეტი იკარგება. რამდენჯერმე ისიც სკადეს, ილეს და

ჭის თუჯის (რკინის) სარქველი დახურეს. სარქველს ჰქონდა ექვსი ვერშოკი სისქე, რომელსაც ზარბაზნის ყუმბარაც ვერ გაატანს, მაგრამ ის შენც არ მომიკვდე, შადრევანმა სცემა, სცემა, ქვიშაც შველოდა და რამდენიმე დღეში რკინის სარქვე-ლი გახტორიტა და ზევით ამოვარდა.

ყოველთვის ასეთი აურ-ზაური როდი ტრიალებს, ყოველ-თვის შადრევანივით არა სცემს. უფრო ხშირათ ნავთი ისე გროვ-დება როგორც კაში წყალი. ჩარჩებით, ორთქლის ძალით, ჩაუ-შვებენ ხოლმე 30 ფუთიან რკინის ვედრას და ისე ამოაქვთ. ასე მუშაობენ დღე და ღამე და ძრიელ ბარაქიანათაც, რაღ-გან თითო ამოლებს ორ წამს დროს არც კი ახმარებენ.

თქვენ რო ახლად ამოლებული (იმოხეთქილი) ნავთი ნა-ხოთ სრულებით ვერ იცნობთ. დედამიწიდან ამოსჩქეფს ბუნე-ბრივი სითხე ზეთის მსგავსი, კუპრის ფერი და მისებრ მყრალი. თან სდევს როგორც ქსოვით მლაშე წყალი, ქვიშა, მეტანი და სხვა გაზიც. ნავთი წყალზედ უფრო სუმბუქია—წყალი აი-ტივტივებს ხოლმე.

ნავთის გაწმენდა მეცნიერულად, ქიმიურად აქვთ შესწავ-ლული. ქვაბებში ასხამენ, ხუფს დახურვენ და ორთქლის სი-ცხით არაყივით ხდიან. გამონადენი ჯერ ციც მილებს გაივლის და მერქ შესაფერ კურქელში გროვდება.

სიცხეს, ცეცხლს გრადუს-გრადუსობით აძლევენ. პირველ მცირე გაცხელებაზე რაც უფრო სუმბუქი გაზია ის გამოდის, მაგალითად: **გაზოლინი, ლიგრინი, ბენზინი და სხვ...**

ამის შემდეგ  $130^{\circ}$  ზევით მღულარე სითხიდან ჩამოდის კეროსინი ანუ ფატაგენი, ფოტონავტილი. ის ამ გამოხდილ სითხეს—კეროსინს ქართულად ნავთს ვეძახით, რომელსაც ყო-ველ ცისმარე დღე ეხმარობთ.

მერმე და მერმე ცეცხლს უმატებენ, ორთქლის ძალას-სიცხეს ასწევენ ხოლმე  $275-300^{\circ}$  გრადუსამდე. ამ დროს ჩამოდის საუკეთესო ზეთიანი სითხე, რომელიც კეროსინზე უკეთესათ ანათებს და თანაც უხითათო მისი ხმარება (ჩვენ რო ნავთს ვხმარობთ არა თუ აფეთქება იცის, უბედურებას



ახდენს) შემდეგი გრადუსებით ხდიან სქელ სითხეს, რომელსაც  
ხმარობენ მანქანების ჩარხებზე, ღერძო-ოვლებზე, კახრაკებზე  
წასასმელათ, საუცხოვოდ მუშავებს მანქანას და სიჯანგესაგა-  
ნაც იფარის მანქანის ნაწილებს რა ლითონისგანაც უნდა იყოს  
მოზადებული. კვლავ ცეცხლს აჩალებენ, ხალა სიცხისა დის  
410 „ ვაშინ გამოჰყავთ მალამოსაებ სქელი ვაზელინი, რომე-  
ლიც აფინაქებში იყიდება ყოველთვის.

ამ ქვებში რჩება ნავთის კუპრი, სქელი ნივთიერება,—  
მაზუთი, რომელიც იხმარება საწვავად შეშის და ქვანაბშირის  
მაგივრად. ლიალ, ამ მონარჩენით, მყრალი კუპრით, ამოძრავებენ  
ზღვაზე და ტელეფოზე მოსრიალე ორთქლმავლებს და ქარხანა-  
ზაოდების ჩარხებს ჩვენდა საკეთილდღეოთ.

ქვაბში დარჩენილ ნავთის ნაძირალიდან კიდევ ბევრი რამ  
გამოჰყავთ, მაგალითად პარაფინი, ხოლო პარაფინიდან ჩამოას-  
ხმენ ხოლმე სანთელს და სხვ. ყველას აქ არ ჩამოვთვლით,  
რადვან 20-მდე მეტია და ასე გასინჯეთ საუკეთესო სუნელი  
„დუხი“ ქალების საპირფარეშოსათვის—ნავთის ნაძირალიდან  
მზადდება.

\* \* \*

გამოხდილი ნავთი (კერძოსინი) ჯერ კიდევ არ გარგა ღამ-  
პებში სახმარებლათ. საბოლოოდ სწორდენ ამ გვარად: კე-  
რძოსინს უმატებენ გოგირდის მფავას, შეანჯლრევენ. გოგირ-  
დის მფავა თავის სიმძიმით ძირს რჩება და კერძოსინი კი ატივ-  
ტივდება, აღვილად გადმოისხმის და ბოლოს ერთი ხერხიც უნ-  
და - მწვავე ნატრს უმატებენ, რესტნ და უკვე შზათაა ან კარა  
კერძოსინი, რომელსაც ჩვენ შეცდომით ნავთს ვეძახით.

მომზადებულ კერძოსინ აგროვებენ რკინის უშველებელ ბაკებში ანუ ამბრებში. აქედან მიღების საშუალებით ავსებენ ცისტერნებს, რომლებსაც რკინის გზით მიაგორებენ ყველა ქალაქებში ვიდრე ბათუმამდე და ფოთამდე. ქალაქებიდან ბო-ჩებით მიეზიდებიან დაბა სოფლებში, რის წყალობითაც დღეს ღარიბ გლეხის ქოხშიაც კაშაშით ანათებს ის სინათლე, რო-



მელიც ქვესკნელს იყო ჩამარხული ჩვენთვის ყოვლად უსაკუთრივია გებლოთ.

გარდა ამისა ააშენეს დიდრონი ნავები დო გემები საგან-გებო რკინის ამბრებიანი (ცისტერნებით). ავსებენ და კასპიის ზღვით მიაქვთ ბაქოდან ასტრახანმდე, ხოლო აქედან მდინარე ვალგის წყალობით მთელ რუსეთს ეფინება კუროსინი და მაზუთი.

ბოლოს ესეც არ აქმარეს, აიღეს და ბაქოდან ბათუმამდე მიწა-მიწა გაიყვანეს რკინის უშველებელი მილი, რომლითაც ნავთის ნაკადული შეუჩერებლივ მიმდინარეობს ბაქოდან პირ-დაპირ ბათუმში.

ენა ადვილად იტყვის, მაგრამ ნუ დაივიწყებთ რომ ბაქოდან ბათუმამდე 800 ვერსი მანძილია, რაღა თქმა უნდა რომ ამ ნავთის სადენის მოგვარება დიდს შრომას და ფულს მოითხოვდა. თანაც ჯერ არ მომხდარა ის სასწაული რომ მდინარე წყალი აღმა წავიდეს და არც ნავთის ნაკადულს შეეძლო აღმართ-აღმართ მდინარება. ამიტომაც ამუშავებენ ორთქლის დალას შესაფერ მანქანებით.

უადგილობის გამო მე აქ, ყმაწვილებო, ყველაფერს ვერ ჩამოგითვლით და ამა თქვენ თითონ მოისაზრეთ ამ მყრალმა ნავთმა რა სასწაულები მოახდინა.

წინეთ ვწერდით, რომ „ნახშირია ჩვენი მაცხოვრებელი“ ჰო და ნავთიც იგივე ნახშირია და უფრო მეტ ნახშირსაც შეიცავს ვიღრე შეშა. მაგალითად ერთი საენი ხმელი შემა იწონის 250 ფუთის. ამას სიცხოვლით უდრის 100 ფუთი საუკეთესო ქანახშირი და ნავთი კი მხოლოდ 70 ფუთი უნდა, რომ მისმა სიცხოვლემ ორთქლის აპარატები მოძრაობაში მოიკვანოს.

ბენზინი რო არა გვქონდეს ველარც ჰაერში ვითრენდით და ვეღარც ავტომობილებით ვისრიალებდით. ბენზინი კი როგორც ზევით მოგახსენეთ ნავთიდან იხდება.

რაც შეეხება შშვენიერ და ძრიელ სინათლეს ელექტრონს, თუ ნავთი არ გვექნება ვერც ელექტრონით გაფინათება. ჩვენს



ბინას, ქუჩა-მოედნებს და ვერც ტრამვაით ვისარგებლებს, იმი-  
ტომ რომ ძილა გვინდა ჩარხების აპარატების დამტრიალებელი. ნაეთმა უნდა აადულოს ქვაბში წყალი, წყალმა მოვცეს ორა-  
ქლი, ორთქლშა გასი დაატრიალოს ელექტრონის მომცემი  
მანქანები.

ნაეთის წყალობით განვითარდა იღამიანი გონებით, ქონე-  
ბით და პოლიტიკურათაც. ნაეთმა დაიცვა აგრეთვე ტყეები—  
განადგურებისაგან, ტყეებმა შევცინახეს მდინარეები, მდინარეე-  
ბმა ნათესები და მოსავალი.

ვისაც კი შნო ჰქონდა ნავთით შეიძინა მილიონები. გუ-  
შინდელი ამბალი, კურტნიანი მუშა დღეს 10 და 20 მილიო-  
ნის პატრონი გახდა. თბილისში რაც საუკეთესო შენობაა, ამ  
20 – 30 წლის განმავლობაში აშენებულია ნაეთის ფულებითა.

თვით ბაქო რაღაც ქახ-მახიანი დაბა იყო, დღეს კი ე-  
რობიულ ქალაქათ გადაიქცა და მეტოქეობას უწევს ბევრ დიდ  
ქალაქს თავის აღებ-მიცემობით.

ცოტა თუ ბევრი ქართველებსაც ერგოთ. მილიონის პა-  
ტრონები ქართველებშიაც ჩამოითვლებიან ათიოდე მაინც, რო-  
მელთა შორის უხვი ქველმოქმედნიც აღმოგვიჩდენ, არ ზოგ-  
ვენ ფულს ქართველ ერის კულტურულათ განვითარებისთვის.

ილ. ალხაზიშვილი



---

ოედაქციაში იუიდება სურათი  
— მარსულთა  
ხსოვნა —  
ფასი 8 მანეთი.

---



၁၅၂၈၁၇၈၀၆၆၀ ၁၅၂၉၁၈၀၈၀၅၆၀ ၁၅၂၉၁၈၀၆၀

Х С Х Н В

ପ୍ରକାଶିତ ବେଳେ 1890 ମ.

მისამართი საქართველოს 1920 წ.

პიავერობის დაბრუნებით კუველტი უზრუნველყოფითი იქნება.

ხელისმომწეროები დარღვეული მიიღობინ კურნალს.

წლიურა ელორება 100 მანეთი

კურინების მახსოვრებლის, მდგრად ხატვისას ძღვება და ახლათ შემდგროვი კონცენტრაცია ეფუძნება ეფექტურის სირჩევის მიზანისას საკი კონკრეტური სახელმწიფო

ର୍ଯ୍ୟାଲ୍-ଗୁଡ଼. ଏନ୍. କ୍ଷେତ୍ରଜୀବିଶ୍ଵାସ.

1684